საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ალასანია ირაკლი მამიას ძე

ალასანია ირაკლი მამიას ძე (დ. 21. XII. 1973, ბათუმი), პოლიტიკური მოღვაწე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე 2004–06 და საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში. დაამთავრა თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტი საერთაშორისო სამართლის სპეციალობით (1995), იმავდროულად 1994–96 სწავლობდა სახელმწ. უშიშროების აკადემიაში. სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართვ. სახელმწ. უშიშროების, საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებში: იყო უშიშროების (2002–04) და თავდაცვის (2004) მინისტრის მოადგილე, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის თანაშემწე (2004), 2006–08 იყო საქართვ. მუდმივი წარმომადგენელი გაეროში, ამავდროულად საქართვ. პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში. 2009 ა-მ დაარსა პარტია „ჩვენი საქართველო–თავისუფალი დემოკრატები“, 2011 გახდა კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი. საპარლამენტო არჩევნებში კოალიცის გამარჯვების შემდეგ 2012 დაინიშნა საქართვ. თავდაცვის მინისტრად. 2014 ნოემბერში პრემიერ-მინისტრმა ა. პოსტიდან გადააყენა, რის შემდეგაც მან კოალიცია დატოვა.